






საპროექტო ობიექტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალოდ ჩვენი საპროექტო ნაგებობა, ყოფილი ქაზარმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საჭიროდ მას ძირითადი ფუნქციური დატვირთვა უნდა ჰქონოდა.

საარქივო მასალებზე ჩანს, რომ ორსართულიანი ნაგებობა, კომპლექსის ცენტრში დგას და ფასადით შიდა ეზოსა და უკანა მხრიდან ბროსეს ქუჩას ეხსნება. ცხადია ისტორიული სურათი არამხოლოდ ობიექტმა, არამედ მიმდებარე განაშენიანებამაც იცვალა, რის გამოც შენობა კონტექსტიდან ამოგლეჯილი, მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტიდა დარჩა.



წლების განმავლობაში მცირე ეზო/მოედანი, რომელსაც კომპლექსის მთავარი შინაარსობრივი ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული, მცენარეულმა საფარმა დაფარა, მათ შორის საკმაოდ დიდმა წიწვოვანმა ხეებმა. ამის გამო, ერთ დროს დახურული ტიპის მოედანმა ბაღის სახე მიიღო, რაც განსაკუთრებულ მომხიბლაობას და სიმყურდოვეს სძენს როგორც შენობას, ასევე განაშენიანებასაც.







A35.